კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Bachelor's Program in HealthCare Management
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	
ქართულად:	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში (0203)
ინგლისურად:	Bachelor of Business Administration in Management (0203)
პროგრამის დამტკიცების თარიღი	2012 წლის 19 ნოემბერი
პროგრამის განახლების თარიღი	
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი თ. ვერულავა

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60/64 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30/32 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ვადა შეადგენს 4 წელს, ხოლო დასაშვები 6 წელს. ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრი) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით: შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრი, მოიცავს 20 კალენდარულ კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. დამატებით შესაძლებელია ზაფხულის 8 კვირიანი სემესტრის ორგანიზება, სადაც სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 15 ECTS კრედიტი(ანუ ჯამში წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტისა).

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც ბაკალავრის საკონტაქტო დატვირთვის დროს

(ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი, პრაქტიკა და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.

საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიაროს როგორც ძირითადი სპეციალობის საგნები (სავალდებულო და არჩევითი), ასევე თავისუფალი კრედიტი არა უმეტეს 20 კრედიტისა უნივერსიტეტში შეთავაზებული საგნებიდან.
240 კრედიტი შემდეგნაირად ნაწილდება:
50 კრედიტი არის ზოგადი საუნივერსიტეტო საგნები;
55 კრედიტი არის სპეციალობის ბიზნესის მოდულიდან;
95 კრედიტი არის სპეციალობის ჯანდაცვის მოდულიდან;
20 კრედიტი არის პრაქტიკული და კვლევითი მოდულიდან;
20 კრედიტი თავისუფალი უნივერსიტეტში შეთავაზებული საბაკალავრო საფეხურის ნებისმიერი საგნებიდან.

შემუშავებული კურიკულუმის დარგობრივი აუცილებელი და დარგობრივი არჩევითი საგნების ფართე სპექტრი საშუალებას აძლევს ბაკალავრს, ინდივიდუალური სამუშაო პერსპექტივის გათვალისწინებით დაგეგმოს ქვემოთ მოცემული ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიღწევისთვის აუცილებელი საგნების გავლა. აღნიშნული კომპეტენციების მისაღწევად ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამის სტრუქტურის კომპონენტები მოიცავს სავალდებულო და არჩევით დარგობრივ საგანთა მოდულებს.

ზოგადი საუნივერსიტეტო მოდული შედგება ზოგადი კურსებისგან. ბაკალავრიატის ზოგადი კურსები არის ინტერდისციპლინური და ემსახურება სტუდენტების თვალსაწიერის გაფართოებას. კურსები შეიძლება იყოს თემატური ან ორიენტირებული ერთი პრობლემის მრავალმხრივ შესწავლაზე. კურსები უნდა უვითარებდეს სტუდენტს არგუმენტაციის, ანალიზის, პრობლემის დასმისა და გადაჭრის უნარს. ზოგადი კურსების ნაწილია მათემატიკის/კალკულუსის, მიკრო და მაკრო ეკონომიკა, ქართული წერა და მეტყველება, ინგლილსური ენისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძვლების შესწავლა ან სტუდენტების კომპეტენციის დონის ამაღლება, რაც წარმოადგენს როგორც წარმატებული სამეცნიერო კვლევის, ისე კომუნიკაციის საფუძველს. ზოგადი მოდულის გავლის შედეგად სტუდენტი აგროვებს 55 კრედიტს. შესაბამისად, ფართოვდება სტუდენტის ინტელექტუალური თვალსაწიერი. სტუდენტი იძენს უწყვეტი სწავლისათვის საჭირო ჩვევებს.

ბიზნესის მოდული მოიცავს ძირითად და არჩევით საგნებს, რომლებიც განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების დარგში ზოგადი კომპეტენციების ჩამოსაყალიბებლად. მოდული შედგება სავალდებულო 30 კრედიტისგან (5 საგანი) და 25 არჩევითი 40 კრედიტიდან (8 არჩევითიდან უნდა აირჩიონ 5). ბიზნესის მოდულის საგნების გავლის შემდეგ სტუდენტი აგროვებს 55 კრედიტს.

ჯანდაცვის მენეჯმენტის მოდული მოიცავს როგორც სავალდებულო 40 კრედიტი(8 საგანი), ისე არჩევით 55 კრედიტს შეთავაზებული 100 კრედიტიდან (ანუ 11 საგნას ირჩევს სტუდენტი 20 საგნიდან). ჯანდაცვის მენეჯმენტის მოდულის საგნების გავლის შემთხვევში სტუდენტი აგროვებს 95 კრედიტს.

ორივე მოდულის სავალდებულო საგნების გავლის შედეგად სტუდენტი აგროვებს 70 კრედიტს, ხოლო არჩევითი საგნებით 80 კრედიტს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს კავკასიის უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ: აბიტურიენტებს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული წესის მიხედვით.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი	პრორამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის მისიაში ასახულ მიზნებს და უზრუნველყოფს კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას. კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის მისიაა საქართველოში ჯანდაცვის სისტემის მართვის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების ცოდნის, თანამედროვე მიდგომების და ღირებულებების დანერგვა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის, პროფესიული ასოციაციების რეკომენდაციების, ასევე საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად სისტემის მართვის სფეროში არსებული თანამედროვე საჭიროებების და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადება აუცილებელი და თანამედროვე ცოდნის მიწოდებით. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის სექტორში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობისათვის მაღალკვალიფიციური ჯანმრთელობის დაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ ჯანდაცვის მართვის ზოგადი და ფართო ცოდნა, რაც ჯანდაცვის მართვის მთავარი პრინციპების, თეორიებისა და კონცეფციების, კვლევის ძირითადი მეთოდების დაუფლებას მოიცავს. ამასთან აღსანიშნავია, რომ მუდმივად ცვალებად შრომით ბაზარზე ყველაზე მეტად მოთხოვნადია ისეთი ტრანსფერული უნარები, როგორიცაა ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის, ანალიზის, არგუმენტაციის, პრობლემების შეფასებისა და შემოქმედებითად გადაჭრის, გუნდში ეფექტურად მუშაობის უნარი, რომელთა შემუშავებისკენ არის მიმართული ბაკალავრიატის საბაზისო მოდული. ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებში პროგრამის დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე, კერძოდ, ჯანდაცვის ადმინისტრირების ზოგადი და ფართო ცოდნის მიღებაზე, რაც გულისხმობს ჯანდაცვის ადმინისტრირების მთავარი პრინციპების, თეორიებისა და კონცეფციების შესწავლას.
პროგრამის სწავლის შედეგები	• პროგრამა საქართველოში ჯანდაცვის მართვის სისტემაში ჩართული პრაქტიკოსების, სპეციალისტების, ჯანდაცვის სექტორში დამსაქმებლებისა და საზღვარგარეთ ჯანდაცვის ადმინისტრირების წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებაზე დაყრდნობით ადგენს და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მიერ შედეგების მიღწევას. საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები: • კურსდამთავრებულს ექნება ჯანდაცვის ადმინისტრირების ფართო ცოდნა; • სამედიცინო ორგანიზაციის მართვის, ჯანდაცვის მარკეტინგის, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების მართვის, ჯანდაცვის სამართლის, სამედიცინო მომსახურების ხარისხის, ჯანდაცვის ეკონომიკის, მართული დახმარების საბაზისო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, ჯანდაცვის მართვის კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას

	• სამედიცინო ორგანიზაციის მართვის, ჯანდაცვის მარკეტინგის, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების მართვის, სამედიცინო მომსახურების ხარისხის მეთოდების გამოყენება ჯანდაცვის სისტემაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად; • სამედიცინო ორგანიზაციის მართვის, ჯანდაცვის მარკეტინგის, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების მართვის, ჯანდაცვის სამართალის, სამედიცინო მომსახურების ხარისხის კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. • ჯანდაცვის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვების, ანალიზის უნარი; • დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი. • ქართულ და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი; • შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის უნარი; • შეუძლია რეფერატული სახის შრომის მომზადება; • შეუძლია საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნესის ტერმინოლოგიის გამოყენებით; • შეუძლია კომპლექსური საკითხის/კითხვის ფორმულირება/ჩამოყალიბება, როგორც წერილობითი , ასევე ზეპირი ფორმით წარდგენა /პრეზენტაცია. • საკუთარი სწავლის პროცესის შეფასების და სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი. • ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, შეისწავლოს ჯანდაცვის სფეროს ღირებულებები, ჯანდაცვისა და ფარმაციის მენეჯმენტში ქცევის ეთიკური ნორმები და მორალური პრინციპები.
დასაქმების სფეროები	ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დაიკავოს მენეჯერის თანამდებობა ბიზნესის სექტორში, ასევე შესაბამისი თანამდებობა სახელმწიფო სტრუქტურებში დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით, არასახელმწიფო სექტორში (პირველადი ჯანდაცვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჰოსპიტალური, ფარმაცევტული და შემდგომი სპეციალიზირებული მომსახურების ჯანდაცვის დაწესებულებები) სხვადასხავა მიმართულებებისა და დონის მენეჯერის პოზიციებზე. დასაქმების სფეროებია: საავადმყოფოები და ამბულატორიული დაწესებულებები; ფარმაცევტული კომპანიები; პროვაიდერული კომპანიები; არასამთავრობო ჯანდაცვითი ორგანიზაციები; საერთაშორისო ჯანდაცვის პროგრამები საქართველოში; ჯანდაცვის საკონსულტაციო კომპანიები; სახელმწიფო ჯანდაცვის ორგანოები, ჯანდაცვის სადაზღვევო კომპანიები და სხვა.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამაზე, კანონით დადგენილი წესისამებრ როგორც ბიზნესის

	ადმინისტრირების, ისე საჯარო პოლიტიკის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ტექნოლოგიების და სხვა მიმართულებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. სასწავლო კომპონენტში მაქსიმალური ანუ 100 ქულიდან შუალედური შეფასებების ჯამის ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის - 30 ქულა.
შუალედური და დასკვნითი შეფასების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დეტალური ინფორმაცია მინიმალური კომპეტენციის ზღვრის შესახებ მოცემულია კონკრეტული სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში, რომელიც სასწავლო პროცესის დაწყების წინ იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.
სწავლის თითოეულ ეტაპზე, სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ დასკვნით გამოცდამდე დაგროვილი შუალედური შეფასებების ჯამური ქულა მინიმუმ 41-ის ტოლია.

შეფასების სისტემა უშვებს:
ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.
სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, ევრისტიკული მეთოდი, გონებრივი იერიშის მეთოდი, სწავლების დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ. თითოეული სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები- ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული

მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსებით სწავლება, და სხვა, სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა. რაც ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

ბაკალავრები კავკასიის უნივერსტეტში სწავლობენ მათთვის მოსახერხებელ საათებში, რითაც უზრუნველყოფილია დასაქმებული სტუდენტებისათვის შესაფერისი სასწავლო გარემო და შესაბამისად მათი ლექციებზე რეგულარული დასწრება.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

პროგრამა უზრუნველყოფილია:

- 7 პროფესორი ;
- 4 ასოცირებული პროფესორი;
- 3 ასისტენტი;
- 13 მოწვეული ლექტორი.

პროგრამის სხვა რესურსები

კავკასიის უნივერსიტეტი არის მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რითაც უზრუნველყოფს მიმდინარე და დაგეგმილი აკადემიური პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, პროგრამებში უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების ჩართვას, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლას და პროფესიულ განვითრებას.

საერთაშორისო ორგანიზაციების რესურსები:

კავკასიის უნივერსიტეტის ერთერთი ყველაზე ხელშესახები მიღწევაა, ფართო მაშტაბური ინტეგრირება მსოფლიო საგანმანათლებლო ბაზარზე.

ამჟამად, კავკასიის უნივერსიტეტი, მეორე, მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს შემდეგ უნივერსიტეტებში: ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ამერიკა; ფორცაიმის უნივერსიტეტი - გერმანია; პარიზის ბიზნესის სკოლა - საფრანგეთი; კლერმონის ბიზნესის უმაღლესი სკოლა - საფრანგეთი; დანკერკის უმაღლესი ბიზნესის ინსტიტუტი - საფრანგეთი; ვილნიუსის უნივერსიტეტი - ლიტვა; ესტონეთის ბიზნესის სკოლა - ესტონეთი; ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი - ესტონეთი; კიპროსის უნივერსიტეტი - კიპროსი; სტეიერის ზემო ავსტრიის უნივერსიტეტი - ავსტრია; რიგის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების საერთაშორისო სკოლა - ლატვია; რიგის ტექნიკური უნივერსიტეტი - ლატვია; აჯოუს უნივერსიტეტი - სამხრეთ კორეა; სტამბულის ბილგის უნივერსიტეტი - თურქეთი; კოლეგიუმ სივიტას - პოლონეთი; ლისაბონის უნივერსიტეტი - პორტუგალია.

კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლის ადმინისტრაციას მჭიდრო კავშირი აქვს *ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯ. მაკ რობინსონის კოლეჯის ჯანდაცვის ადმინისტრირების ინსტიტუტთან.* დაგეგმილია ინსტიტუტის პროფესორთა და მკვლევართა ვიზიტები პროგრამის შემდგომი განვითარების პერიოდში. ასევე აღნიშნული ინსიტუტის პროფესორების კონსულტაციებზე დაყრდნობით შემუშავდა ცალკეული საგნების სილაბუსები, შეირჩა სასწავლო სახელმძღვანელოები და სტატიები.

პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლების რესურსები:

უნივერსტეტის ჯანდაცვის სკოლა თანამშრომლობს ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) ჯ. მაკ რობინსონის კოლჯის ჯანდაცვის ადმინისტრირების ინსტიტუტთან. უახლოეს 3 წელიწადში დაგეგმილია სტუდენტთა სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გაცვლა. ასევე ორმაგი ხარისხი.

სამთავრობო დაწესებულებები:
საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს ჯანდაცვის სკოლის ადმინისტრაციასთან. სამინისტროს წარმომადგენლები ჩართულნი არიან ჯანდაცვის სკოლის მიერ განხორციელებული „ჰოსპიტალური მენეჯმენტის“ სასერთიფიკატო პროგრამის განხორციელებაში, სკოლის მიერ შექმნილი ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათებლო პროგრამის შემუშავებაში, სკოლის განვითარების მოკლე და გრძელვადიანი გეგმების შემუშავებასა და შეფასებაში.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (9954 ერთეული ბეჭდური ლიტერატურა). ბიბლიოთეკაში ასევე მოქმედებს: ელექტრონული კატალოგი OpenBiblio-http://library.cu.edu.ge/opac/index.php და ელექტრონული ბიბლიოთეკა https://ebooks.cu.edu.ge/ რომელიც განკუთვნილია შიდა მოხმარებისთვის. ელექტრონული ბიბლიოთეკის დასათვალიერებლად და ბიბლიოთეკაში არსებული მასალის ჩამოსატვირთად საჭიროა კავკასიის უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართი და პაროლი.
ასევე ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა შემდეგ ქსელებთან:
EBSCO HOST
EBSCO HOST CONNECTION
World Higher Education Database WHED Portal
HEDBIB the International Bibliographic Database on Higher Education
„ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა Windows Server 2012- ზე იწყობა Domain Controller,DNS,DHCP,File Server,WDS,WSUS და სხვა სერვისები. Active Directory - ს საშუალებით იქმნება Domain და Domain User-ები, რაც გვაძლევს საშუალებას ყველა მომხმარებელი და კომპიუტერი ვმართოთ ცენტრალიზებულად.

ძირითადი ტექნოლოგიური რესურსები:
Network: Fortinet Firewall (Fortigate 200D)
Cisco switch (2960L, C3650, 3750/3750G)
Cisco AP (AIR-AP1832I-E-K9)
Cisco Wireless controller (AIR-CT3504-K9)
Servers: HPE (Proliant DL360 G7, DL380 G7, DL380 G9)
Cisco (Business Edition 6000M Svr (M4)
All-In-One PC: HP Proone 400 G3
OS: Windows Server 2012 R2 Standard
Windows 10 Education
Firewall საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, ჰქონდეთ ინტერნეტთან წვდომა. ასევე VPN კლიენტის გამოყენებით იმუშაონ კომპანიის შიდა ქსელში. Firewall გვაძლევს საშუალებას გავფილტროთ ტრაფიკი. მისი მეშვეობით დაბლოკილია საფრთხის შემცველი ვებ საიტები და P2P კავშირები. დაკონფიგურირებულია Remote Access VPN, რაც ნიშნავს იმას, რომ საჭიროებისამებრ თანამშრომლებს შეეძლებათ სახლიდან უნივერსიტეტის შიდა ქსელში მუშაობა. Cisco SW: ყოველი მომხმარებელი იყენებს Switch-ის კონკრეტულ პორტს. მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს მაქსიმალური გამტარუნარიანობა.
Cisco AP: ასხივებს მთელ შენობაში, მომხმარებლებს აძლევს საშუალებას, ინტერნეტთან წვდომა ჰქონდეთ შენობის ნებისმიერი წერტილიდან.
HPE Servers: მომხმარებლებს აქვთ საშუალება, გამოიყენონ შიდა ქსელში გაშვებული სერვისები, როგორებიცაა AD, Moodle და ასე შემდეგ.
Cisco Server გამოიყენება IP ტელეფონიის სერვისებისთვის.
Eduroam: საერთაშორისო სერვისი, გამოიყენება საგანმანათლებლო დაწესებულებებში Wifi-ზე დასაკავშირებლად მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით.
უნივერსიტეტს გააჩნია 8 კომპიუტერული აუდიტორია. თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია 24 კომპიუტერი. უნივერსიტეტის ბალანსზე ირიცხება 250 კომპიუტერი.
უნივერსიტეტში დანერგილია ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები, რომლითაც უზრუნველყოფილია მომსახურებისა და პროცესების მართვის ეფექტიანობა, ეფექტურობა და ხელმისაწვდომობა.
ასევე უნივერსიტეტს გააჩნია

პროექტორი: 70
პრინტერი: 100
საგამოცდო ცენტრის ასლგადამღები მანქანა: 2 ცალი შავ-თეთრი, 1 ცალი ფერადი

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის ბიუჯეტი ორიენტირებულია პროგრამის მდგრადობაზე და მუდმივ განვითარებაზე. ბიუჯეტში გაწერილია როგორც აკადემიური პერსონალის, სკოლის ადმინისტრაციის სხვა დამატებითი ხარჯები, ასევე პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელი ხარჯებიც. ასევე გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხა (საერთო თანხის 10 პროცენტი). პროგრამის მდგრადობისთვის ასევე უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდიდან არის გამოყოფილი ფინანსები.

პროგრამის სასწავლო გეგმა
(მოდულების, საგნების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				E ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
			ზოგადსაუნივერსიტეტო სავალდებულო საგნები									**45**
1.	HIST 0003	არ გააჩნია	საქართველოს ისტორია	5								5
2.	MICR 0008	არ გააჩნია	შესავალი მიკროეკონომიკაში	5								5
3.	MACR 1281	MICR 0008	შესავალი მაკროეკონომიკაში		5							5
4.	ENGL 0007	ENGL 0006	ზოგადი ინგლისური ენა B2 (პირველი ნაწილი)	5								5
5.	ENGL 0008	ENGL 0007	ზოგადი ინგლისური ენა B2 (მეორე ნაწილი)[1]		5							5
6.	MATH 0001/MATH		პრეკალკულუსი /კალკულუსი 1	**5**								**5**

[1] სტუდენტი ვალდებულია საბაკალავრო პროგრამის დასრულებამდე მიაღწიოს B2 დონეს; ინგლისურ ენაში სტუდენტის მიერ ეროვნულ გამოცდაში მიღებული ქულის შესაბამისაბამისად ირჩევს მისთვის შესაბამისი დონის ინგლისურს B1 ან B2-ს. თუ სტუდენტი ჩაირიცხება სხვა უცხო ენით, შესაძლებელია, დარეგისტრირდეს A2 დონეზე თავისუფალი კრედიტების ხარჯზე.

	0003											
7.	CSC1281	არ გააჩნია	საოფისე ტექნოლოგიები-1	5								5
8.	CSC1282	CSC1281	საოფისე ტექნოლოგიები-2		5							5
9.	**SPCH 0007**	არ გააჩნია	ქართული წერისა და მეტყველების კულტურა		5							5
	PHIL 0005		კრიტიკული აზროვნება	5								
			ინგლისური ენის დამატებითი მოდული									**20[2]**
1.	ENGL 0003	არ გააჩნია	ზოგადი ინგლისური ენა ა2 (პირველი ნაწილი)	5								5
2.	ENGL 0004	ENGL 0003	ზოგადი ინგლისური ენა ა2 (მეორე ნაწილი)		5							5
3.	ENGL 0005	ENGL 0004	ზოგადი ინგლისური ენა ბ1(პირველი ნაწილი)	5								5
4.	ENGL 0006	ENGL 0005	ზოგადი ინგლისური ენა ბ1 (მეორე ნაწილი)		5							5
			სპეციალობის ბიზნესის მოდული									**55**
			სავალდებულო საგნები									25
1.	BUSM 1281	არ გააჩნია	მენეჯმეტის ძირითადი პრინციპები		6							5
1.	BUSM 2181	არ გააჩნია	ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები			6						5
2.	BUSM 1282	არ გააჩნია	ბიზნესის საფუძვლები		6							5
3.	BUSM 2182	BUSM 1282	ბიზნეს სტატისტიკის საფუძვლები			6						5
	BUSM 3181	BUSM 2181	ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები				6					5
			არჩევითი საგნები									25
1.	ECON 2215	MACR 1281	საჯარო ფინანსების საფუძვლები					5				5
2.	BUSM 2281	BUSM 2181	მენეჯერული აღრიცხვის პრინციპები				5					5
3.	BUSM 3182	BUSM 1281	ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები					5				5
4.	BUSM 3183	BUSM 1281	ლიდერობა და გუნდის მართვა			5						5

[2] ინგლისურის დამატებითი მოდულიდან საგნის არჩევის შემთხვევაში, სტუდენტს საგანი ეთვლება თავისუფალ კრედიტში.

5.	BUSM 1283	არ გააჩნია	საჯარო გამოსვლა და პრეზენტაციის წარმართვა			5						5
6.	BUSM 1284	BUSM 1281	ხარისხის მენეჯმენტის საფუძვლები				5					5
7.	HCM 4784	BUSM 1281	პროექტის მენეჯმენტი					5				5
	SOCI 0004		სოციოლოგია				5					
			სპეციალობის ჯანდაცვის მენეჯმენტის მოდული									**100**
			სავალდებულო საგნები			**10**	**15**	**5**	**5**			40
1.	HCM 2481	BUSM 1281	ადამიანური რესურსების მართვა				5					5
2.	HCM 3581	BUSM 1281	ჯანდაცვის ორგანიზაციების სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები					5				
3.	HCM 2482	არ გააჩნია	ჯანდაცვის მარკეტიგის საფუძვლები				5					
4.	HCM 2381	BUSM 1281	ჯანდაცვის მენეჯმენტის საფუძვლები			5						
5.	HCM 3681	არ გააჩნია	ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემების საფუძვლების საფუძვლები						5			
6.	HCM 2382	MACR 1281	ჯანდაცვის ეკონომიკის საფუძვლები			5						
	HCM 4883	BUSM 1281	ჰოსპიტალის მართვა							5		
	HCM 2483	MACR 1281	დაზღვევის საფუძვლები				5					
			არჩევითი საგნები									60
2.	HCM 2484	არ გააჩნია	უსაფრთხო გარემო და ჯანდაცვა								5	
3.	HCM 2485	არ გააჩნია	შესავალი ბიოსტატისტიკაში			5						
4.	HCM 3582	ENGL 0008	პროფესიული ინგლისური1					5				
5.	HCM 3684	HCM 3582	პროფესიული ინგლისური 2						5			
6.	HCM 4781	არ გააჩნია	პაციენტთა უფლებები								5	
7.	HCM 4782	არ გააჩნია	ჯანდაცვის სამართლებრივი და ეთიკური საკითხები							5		
8.	HCM 2486	არ გააჩნია	ჯანდაცვის პოლიტიკა და რეფორმები				5					
9.	HCM 3682	არ გააჩნია	ჯანდაცვის დაფინანსების საკითხები						5			
10.	HCM 4785	არ გააჩნია	შესავალი კვლევის მეთოდებში							5		
11.	HCM 4783	არ გააჩნია	სამედიცინო ტერმინოლოგია 1							5		
12.	HCM 4881	HCM 4783	სამედიცინო ტერმინოლოგია 2								5	
13.	HCM 4786	არ გააჩნია	კომუნიკაცია ჯანდაცვაში			5						
14.	HCM 3683	HCM 2482	ჯანდაცვის მომსახურების მარკეტინგი						5			
15.			პირველადი ჯანდაცვის მართვის								5	

			საფუძლები									
16.	HCM 4882	BUSM 1281	ფარმაციის მენეჯმენტის და პოლიტიკის საფუძვლები						5			
17.												
18.	HCM 4884	BUSM 1281	სამედიცინო მომსახურების ხარისხის მენეჯმენტის საფუძვლები								5	
19.												
20.	FREN/GER M/ESP 0001	არ გააჩნია	მეორე უცხო ენა A1.0					5				
21.	FREN/GER M/ESP 0002/	FREN/GERM/ ESP 0001/	მეორე უცხო ენა A1						5			
22.	FREN/GER M/ESP 0003	FREN/GERM/ ESP 0002/	მეორე უცხო ენა A2.0							5		
23.	FREN/GER M/ESP 0004	FREN/GERM/ ESP 0003/	მეორე უცხო ენა A2								5	
			პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტი									**20**
1.	PRAC 4786		სასწავლო პრაქტიკა							10		
2.	HCM 4885		პროექტი ჯანდაცვის მენეჯმენტში								10	
			თავისუფალი კრედიტები									**20**

ECTS კრედიტები	სემესტრში	30	32	32	31	30	30	30	30
	წელიწადში	60		60		60		60	
საგნების\მოდულების რაოდენობა წელიწადში									

შენიშვნა:

პროგრამის საათობრივი გაანგარიშება

№	საგანი / საათები	ECTS კრედიტი\ სთ/	ლექცია	სემინარი	პ რ ე ზ ე ნ ტ ა ც ი ა	საშინაო დავალება, შუალედური,	დამოუკიდებელი მუშაობა, მ.შ. გამოცდებისათვის მზადება
1	საქართველოს ისტორია	5/125	16	8	2	4	95
2	შესავალი მიკროეკონომიკაში	5/125	16	8	2	4	95
5	ქართული წერისა და მეტყველების კულტურა	5/125	16	8	2	4	95
8	ზოგადი ინგლისური ენა ა2 (პირველი ნაწილი)	5/125	28	47	3	6	41
9	ზოგადი ინგლისური ენა ა2 (მეორე ნაწილი)	5/125	28	47	3	6	41
10	ზოგადი ინგლისური ენა ბ1(პირველი ნაწილი)	5/125	28	44	6	6	41
11	ზოგადი ინგლისური ენა ბ1 (მეორე ნაწილი)	5/125	28	44	6	6	41
12	ზოგადი ინგლისური ენა ბ2 (პირველი ნაწილი)	5/125	28	44	6	6	41
13	ზოგადი ინგლისური ენა ბ2 (მეორე ნაწილი)	5/125	28	44	6	6	41
16	პრეკალკულუსი	5/125	12	12	2	4	95

17	კალკულუსი 1[3]	5/125	12	12	2	4	95
19	შესავალი მაკროეკონომიკაში	5/125	10	13	3	4	95
20	საოფისე ტექნოლოგიები 1	5/125	12	12	2	4	95
21	საოფისე ტექნოლოგიები 2	5/125	12	12	2	4	95
22	მენეჯმეტის ძირითადი პრინციპები	6/150	13	13		4	120
23	ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები	6/150	15	9	2	4	120
24	ბიზნესის საფუძვლები	6/150	15	9	2	4	120
25	ბიზნეს სტატისტიკის საფუძვლები	6/150	15	9	2	4	120
26	ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები	6/150	15	9	2	4	120
27	მენეჯერული აღრიცხვის პრინციპები	5/125	18	6	2	4	95
28	ორგანიზაციული ქცევა	5/125	14	10	2	4	95
29	ლიდერობა და გუნდის მართვა	5/125	16	8	2	4	95
30	საჯარო გამოსვლა და პრეზენტაციის წარმართვა	5/125	16	8	2	4	95
31	ხარისხის მენეჯმენტი	5/125	16	8	2	4	95

[3] სტუდენტი მისაღებ გამოცდაზემიღებული ქულის და მათემატიკის დონიდან გამომდინარე ირჩევს მისთვის შესაბამისი დონის კალკულუსს (ან პრეკალკულუსი ან კალკულუსი 1)

32	ადამიანური რესურსების მართვა	5/125	16	8	2	4	95
33	ჯანდაცვის ორგანიზაციების სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	5/125	16	8	2	4	95
34	ჯანდაცვის მარკეტიგის საფუძვლები	5/125	15	9	2	4	95
35	ჯანდაცვის მენეჯმენტი	5/125	16	8	2	4	95
36	ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემები	5/125	16	8	2	4	95
37	ჯანდაცვის ეკონომიკის საფუძვლები	5/125	12	12	2	4	95
38	დაზღვევის შესავალი	5/125	16	8	2	4	95
39	უსაფრთხო გარემო და ჯანდაცვა	5/125	16	8	2	4	95
40	შესავალი ბიოსტატისტიკაში	5/125	16	8	2	4	95
41	პროფესიული ინგლისური 1	5/125	16	8	2	4	95
42	პროფესიული ინგლისური 2	5/125	16	8	2	4	95
43	პაციენტთა უფლებები	5/125	16	8	2	4	95
44	ჯანდაცვის სამართლებრივი და ეთიკური საკითხები	5/125	16	8	2	4	95
45	ჯანდაცვის პოლიტიკა და რეფორმები	5/125	16	8	2	4	95
46	ჯანდაცვის დაფინანსების საკითხები	5/125	16	8	2	4	95

47	ჯანდაცვის კვლევის მეთოდები	5/125	16	8	2	4	95
48	სამედიცინო ტერმინოლოგია 1	5/125	16	8	2	4	95
49	სამედიცინო ტერმინოლოგია 2	5/125	16	8	2	4	95
50	პიარი ჯანდაცვაში	5/125	16	8	2	4	95
51	ჯანდაცვის მომსახურების მარკეტინგი	5/125	15	9	2	4	95
52	პროექტის მენეჯმენტი ჯანდაცვაში	5/125	16	8	2	4	95
53	ფარმაციის მენეჯმენტი და პოლიტიკა	5/125	16	8	2	4	95
54	ჰოსპიტალების მართვა	5/125	16	8	2	4	95
55	სამედიცინო მომსახურების ხარისხის მენეჯმენტი	5/125	16	8	2	4	95
56	საჯარო ფინანსები	5/125	16	8	2	4	95
57	სასწავლო პრაქტიკა	10/250		99		3	148
58	პროექტი ჯანდაცვის მენეჯმენტში	10/250	12			3	235
59	მეორე უცხო ენა A1.0	5/125	28	50		6	41
60	მეორე უცხო ენა A1	5/125	28	50		6	41
61	მეორე უცხო ენა A2.0	5/125	28	50		6	41

62	მეორე უცხო ენა A2	5/125	28	50		6	41
63	სოციოლოგია	5/125	14	10		6	95
64	კრიტიკულიაზროვნებისსაფუძვლები	5/125	16	8	2	4	95
65	პირველადიჯანდაცვისმართვისსაფუძვლები	5/125	14	10	2	4	95

სწავლის შედეგების რუკა

სემესტრი	სასწავლო კურსი / მოდული / პრაქტიკა/კვლევითი კომპონენტი	პროგრამის სწავლის შედეგები					
		სშ #1. *[მიუთითეთ სწავლის შედეგი]*	აქვს ჯანდაცვითი ორგანიზაციების მართვის, მარკეტინგის, მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვის, ადამიანური რესურსების მართვის, სტრატეგიული დაგეგმვის, მართვის საინფორმაციო სისტემების, ჯანდაცვის ეკონომიკის ფუნდამენტური კონცეფციებისა და თეორიების ფართო და ზოგადი ცოდნა	ანალიზებს და პრაქტიკულ საქმიანობას მოესადაგებს ჯანდაცვის მენეჯმენტის პროცესებს, პრობლემატიკასა და ინსტრუმენტებს და შეუძლია ჯანდაცვის მენეჯმენტის კონცეფციებისა და თეორიების პრაქტიკაში გამოყენება.	შესწევს უნარი სამედიცინო ორგანიზაციის გადაწყვეტილების მიღების, კონტროლისთვის და ზოგადად მენეჯმენტისთვის შეაგროვოს საჭირო მონაცემები და განმარტოს, მოახდინოს სიტუაციების ანალიზი და ჩამოყალიბოს დასაბუთებული დასკვნა.	გააჩნია ჯანდაცვის მენეჯმენტის შესახებ ეფექტური წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარები, მათ შორის უცხოურ ენაზე.	ხელმძღვანელობს ჯანდაცვაში მიღებული და აღიარებული ფასეულობებით და ღირებულებებით, მონაწილეობს მათი განმტკიცების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.
	სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი						
	ჯანდაცვის მენეჯმენტის საფუძვლები		მაღალი	მაღალი	მაღალი	საშუალო[4]	საშუალო[5]

[4] სასწავლო კურსის სწავლის შედეგის ურთიერთმიმართება პროგრამის სწავლის შედეგთან არის **საშუალო**

[5] სასწავლო კურსის სწავლის შედეგის ურთიერთმიმართება პროგრამის სწავლის შედეგთან არის **მაღალი**.

	ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემების საფუძვლები		მაღალი	მაღალი	საშუალო	საშუალო	საშუალო
	ჯანდაცვის ეკონომიკის საფუძვლები		მაღალი	მაღალი	მაღალი	საშუალო	საშუალო
	ჯანდაცვის ორგანიზაციების სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები		მაღალი	მაღალი	საშუალო	საშუალო	საშუალო
	ჰოსპიტალის მართვა		მაღალი	მაღალი	საშუალო	საშუალო	საშუალო
	დაზღვევის საფუძვლები		მაღალი		საშუალო	საშუალო	საშუალო
	ადამიანური რესურსების მართვა		მაღალი	მაღალი	მაღალი	საშუალო	საშუალო
	ჯანდაცვის მარკეტინგი		მაღალი	მაღალი	საშუალო	საშუალო	საშუალო

სწავლის შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	საგანი	კომპეტენციები					
			დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში
	HIST 0003	საქართველოს ისტორია	+	+	+	+	+	+
	ECON 0008	შესავალი მიკროეკონომიკაში	+	+	+	+	+	+
	PSYC 0006	ფსიქოლოგია	+	+	+		+	+
	PHIL 0005	ფილოსოფია-კრიტიკული აზროვნება	+	+	+	+	+	+
	SPCH 0007	ქართული წერისა და მეტყველების კულტურა	+	+	+		+	+
	POLS 0002	პოლიტუკურ მეცნიერებათა შესავალი	+	+	+		+	+
	GEOP 0008	მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია	+	+	+		+	+
	ENGL 0003	ზოგადი ინგლისური ენა ა2 (პირველი ნაწილი)	+	+	+	+	+	+
	ENGL 0004	ზოგადი ინგლისური ენა ა2 (მეორე ნაწილი)	+	+	+	+	+	+
	ENGL 0005	ზოგადი ინგლისური ენა ბ1(პირველი ნაწილი)	+	+		+	+	+
	ENGL 0006	ზოგადი ინგლისური ენა ბ1 (მეორე ნაწილი)	+	+	+	+	+	+
	ENGL 0007	ზოგადი ინგლისური ენა ბ2 (პირველი ნაწილი)	+	+		+	+	+
	ENGL 0008	ზოგადი ინგლისური ენა ბ2 (მეორე ნაწილი)	+	+		+	+	+
	ENGL 0009	ზოგადი ინგლისური ენა C1 (პირველი ნაწილი)	+	+		+	+	+
	ENGL 0010	ზოგადი ინგლისური ენა C2 (მეორე ნაწილი)	+	+		+	+	+
	MATH 0001	პრეკალკულუსი	+	+	+	+	+	+
	MATH 0003	კალკულუსი 1[6]	+	+	+	+	+	+
	MATH 0004	კალკულუსი 2	+	+	+	+	+	+
	MICR1281	შესავალი მაკროეკონომიკაში	+	+	+	+	+	+
	CSC	საინფორმაციო სისტემები 1	+	+	+		+	+

[6] სტუდენტის მისაღებზე მიღებული ქულის და მათემატიკის დონიდან გამომდინარე ირჩევს მისთვის შესაბამისი დონის კალკულუსს (ან პრეკალკულუსი ან კალკულუსი 1)

	1281							
	CSC 1282	საინფორმაციო სისტემები 2	+	+	+		+	+
	BUSM 1281	მენეჯმეტის ძირითადი პრინციპები	+	+	+	+	+	+
	BUSM 2181	ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები	+	+	+		+	+
	BUSM 1282	ბიზნესის საფუძვლები	+	+		+	+	+
	BUSM 2182	ბიზნეს სტატისტიკის საფუძვლები	+	+	+	+	+	+
	BUSM 3181	ფინანსური მენეჯმენტი	+	+		+	+	+
	BUSM 2281	მენეჯერული აღრიცხვის პრინციპები	+	+		+	+	+
	BUSM 3182	ორგანიზაციული ქცევა	+	+	+	+	+	+
	BUSM 3183	ლიდერობა და გუნდის მართვა	+	+	+	+	+	+
	BUSM 1283	საჯარო გამოსვლა და პრეზენტაციის წარმართვა	+	+		+	+	+
	BUSM 1284	ხარისხის მენეჯმენტი	+	+	+	+	+	+
	HCM 2481	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ჯანდაცვაში	+	+	+	+	+	+
	HCM 3581	ჯანდაცვის ორგანიზაციების სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები		+	+		+	+
	HCM 2482	ჯანდაცვის მარკეტიგის საფუძვლები	+	+	+	+	+	+
	HCM 2381	ჯანდაცვის მენეჯმენტი	+	+	+		+	+
	HCM 3681	ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემები	+	+	+	+	+	+
	HCM 2382	ჯანდაცვის ეკონომიკის საფუძვლები	+	+	+	+	+	+
	HCM 2483	დაზღვევის შესავალი	+	+	+	+	+	+
	HCM 2484	უსაფრთხო გარემო და ჯანდაცვა	+	+	+		+	+
	HCM 2485	შესავალი ბიოსტატისტიკაში	+	+	+	+	+	+
	ENGP 3582	პროფესიული ინგლისური 1	+	+	+		+	+
	ENGP 3681	პროფესიული ინგლისური 2	+	+		+	+	+
	HCM 4781	პაციენტთა უფლებები	+	+	+	+	+	+
	HCM 4782	ჯანდაცვის სამართლებრივი და ეთიკური საკითხები	+	+		+	+	+
	HCM 2486	ჯანდაცვის პოლიტიკა და რეფორმები	+	+		+	+	+
	HCM 3682	ჯანდაცვის დაფინანსების საკითხები	+	+	+	+	+	+
	HCM 4782	ჯანდაცვის კვლევის მეთოდები	+	+	+	+	+	+
	HCM 4783	სამედიცინო ტერმინოლოგია 1	+	+	+	+	+	+
	HCM 4881	სამედიცინო ტერმინოლოგია 2	+	+	+	+	+	+
	HCM 4783	პიარი ჯანდაცვაში	+	+	+		+	+
	HCM 3683	ჯანდაცვის მომსახურების მარკეტინგი	+	+	+	+	+	+
	HCM 4784	პროექტის მენეჯმენტი ჯანდაცვაში	+	+	+	+	+	+
	HCM 4882	ფარმაციის მენეჯმენტი და პოლიტიკა	+	+	+	+	+	+
	HCM 4883	ჰოსპიტალების მართვა	+	+	+	+	+	+
	HCM 4884	სამედიცინო მომსახურების ხარისხის მენეჯმენტი	+	+	+		+	+
	ECON 2215	საჯარო ფინანსები	+	+	+		+	+
	PRAC 4786	სასწავლო პრაქტიკა	+	+	+	+	+	+

	HCM 4885	პროექტი ჯანდაცვის მენეჯმენტში	+	+	+	+	+	+
	FREN/GERM/ESP 0001	მეორე უცხო ენა A1.0	+	+	+	+	+	+
	FREN/GERM/ESP 0002/	მეორე უცხო ენა A1	+	+	+	+	+	+
	FREN/GERM/ESP 0003	მეორე უცხო ენა A2.0	+	+	+	+	+	+
	FREN/GERM/ESP 0004	მეორე უცხო ენა A2	+	+	+	+	+	+

საგანმანათლებლო პროგრამის
პროფესორ-მასწავლებელთა რესურს-ბაზა

№	სახელი და გვარი	სტატუსი	საგანი
1	მაია გონაშვილი	პროფესორი	• შესავალი მიკროეკონომიკაში • შესავალი მაკროეკონომიკაში • ორგანიზაციული ქცევა • ჯანდაცვის ეკონომიკის საფუძვლები
2	თეა გიორგაძე	პროფესორი	• ჯანდაცვის პოლიტიკა და რეფორმები • ჯანდაცვის დაფინანსების საკითხები • ჰოსპიტალების მართვა • სასწავლო პრაქტიკა • ფარმაციის მენეჯმენტი და პოლიტიკა
3	გიორგი დათუკიშვილი	პროფესორი	• საინფორმაციო ტექნოლოგიები 1 • საინფორმაციო ტექნოლოგიები 2
4	ნუგზარ სხირტლაძე	პროფესორი	• პრეკალკულუსი • კალკულუს 1 • კალკულუს 2
5	შორენა კახიძე	პროფესორი	• საჯარო ფინანსები
6	ბუბა კუდავა	პროფესორი	• საქართველოს ისტორია
8	ცისანა ბიბილეიშვილი	პროფესორი	• მეორე უცხო ენა - ფრანგული
9	თეა გამეზარდაშვილი	ასოცირებული პროფესორი	• სამედიცინო ტერმინოლოგია 1 • სამედიცინო ტერმინოლოგია 2
10	მიხეილ დუნდუა	ასისტენტი	• ხარისხის მენეჯმენტი • სამედიცინო მომსახურების ხარისხის მენეჯმენტი • ჯანდაცვის მენეჯმენტი • მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები • ბიზნეს სტატისტიკის საფუძვლები
12	ლელა აბდუშელიშვილი	ასოცირებული პროფესორი	• პროფესიული ინგლისური 1 • პროფესიული ინგლისური 2 • შესავალი კვლევის მეთოდებში
13	ნანა ხომერიკი	ასოცირებული პროფესორი	• ზოგადი ინგლისური ენა ა2 (პირველი ნაწილი) • ზოგადი ინგლისური ენა ა2 (მეორე ნაწილი) • ზოგადი ინგლისური ენა ბ1 (პირველი ნაწილი)

			• ზოგადი ინგლისური ენა B1 (მეორე ნაწილი)
14	ხათუნა ბასილაშვილი	ასოცირებული პროფესორი	• ზოგადი ინგლისური ენა B2 (პირველი ნაწილი) • ზოგადი ინგლისური ენა B2 (მეორე ნაწილი) • ზოგადი ინგლისური ენა C1 (პირველი ნაწილი) • ზოგადი ინგლისური ენა C1 (მეორე ნაწილი)
15	ვახტანგ სურგულაძე	ასისტენტი	• ლიდერობა და გუნდის მართვა • ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ჯანდაცვაში • დაზღვევის შესავალი • ჯანდაცვის დაფინანსების საკითხები • ჰოსპიტალების მართვა • სასწავლო პრაქტიკა • პროექტი ჯანდაცვის მენეჯმენტში • პირველადი ჯანდაცვის მართვის საფუძლები
17	მიხეილ დუნდუა	ასისტენტი	• ხარისხის მენეჯმენტი • სამედიცინო მომსახურების ხარისხის მენეჯმენტი • ჯანდაცვის მენეჯმენტი
18	რუსუდან დალაქიშვილი	მოწვეული ლექტორი	• ჯანდაცვის ორგანიზაციების სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები • ჯანდაცვის მარკეტინიგის საფუძვლები • ჯანდაცვის მომსახურების მარკეტინგი
19	იოსებ მამუკელაშვილი	მოწვეული ლექტორი	• ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები • ფინანსური მენეჯმენტი • მენეჯერული აღრიცხვის პრინციპები • ბიზნეს სტატისტიკის საფუძვლები
20	მარიამ ნანიტაშვილი	მოწვეული ლექტორი	• ბიზნესის საფუძვლები • საჯარო გამოსვლა და პრეზენტაციის წარმართვა • პროექტის მენეჯმენტი ჯანდაცვაში
21	თამარ ლომინაძე	მოწვეული ლექტორი	• ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემები
22	ქეთევან ხაზარაძე	მოწვეული ლექტორი	• უსაფრთხო გარემო და ჯანდაცვა
23	ლია მდინარაძე	მოწვეული ლექტორი	• შესავალი ბიოსტატისტიკაში
24	გივი ჯავაშვილი	მოწვეული ლექტორი	• ჯანდაცვის სამართლებრივი და ეთიკური საკითხები • პაციენტთა უფლებები
25	ნათია ხაბეიშვილი	მოწვეული ლექტორი	• პიარი ჯანდაცვაში
27	ვანო ჭიაურელი	მოწვეული ლექტორი	• კრიტიკული აზროვნება
28	ქეთევან ინწკირველი	მოწვეული ლექტორი	• ქართული წერისა და მეტყველების

			კულტურა
30	ქეთევან ნიკოლაძე	მოწვეული სპეციალისტი	მეორე უცხო ენა - გერმანული
31	თამარი რიოს გარსია	მოწვეული სპეციალისტი	მეორე უცხო ენა - ესპანური
32	დევი ტაბიძე	მოწვეული ლექტორი	სოციოლოგია